

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული
AGRO
АГРО
NEWS

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ქურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკასი ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამაძლოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shpakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგარული მეცნიერებანი
AGRICAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION
 METHODS _____ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემოგებაში ინვესტიციების
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია
 _____ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის
 ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს
 მდგომარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის
 პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე
 საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა
 სამებრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)
 აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების
 ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფიანების უნარი	72
Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლერობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მემბანიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION	128



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩაის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე _____ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში _____ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში _____ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია _____ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში _____ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები _____ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით _____ 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვდომარეობა იმერეთის რეგიონში _____ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად _____ 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში _____ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა _____ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამდგომები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე _____ 186



4 **მომართულეპათომორისი ღარგეპი**
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

**Изоolda Xасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____ 195**

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____ 202**

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურისმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____ 207**

1 აგრარული მეცნიერებანი AGRICAL SCIENCES АГРАРНЫЕ НАУКИ





ლავანდი – უნიკალური მცენარე
(დამამშვიდებელი და მკურნალი)

როლანდ კოპალიანი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ვლადიმერ უგულავა

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მარიეტა თაბაგარი

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

შორენა კაპანაძე

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

სტატიაში განხილულია ლავანდის ბიომორფოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებები. წარმოშობა და გავრცელების მოკლე ისტორია, სამეურნეო გამოყენება, სამკურნალო თვისებები, მოყვანილია გამოყენების რეცეპტები.

მცენარე ფიგურირებს ცნობარებში სხვადასხვა დასახელებით: ლავანდი ნამდვილი, ანუ სამკურნალო, ანუ ფრანგული - *Lavandula spicala. (L.veza DC., L. officinalis Chaix)*, არსებობს სხვა სახელწოდებებიც, წარმოადგენს მარადმწვანე ძლიერ დატოტვილ ნახევრად ბუჩქს ტუჩოსანთა (*Lamiaceae, ან Labiatae*) ოჯახიდან სიმაღლით 20 სმ-დან 1 მ-დე. ტოტეზის ქვედა ნაწილი გამერქნებულია, ზედა-ბალახისებრი. ფოთლები მოპირდაპირე წაგრძელებულ-ხაზოვანი, კიდემთლიანი 2-6 სმ სიგრძის და 2-6 მმ სიგანის, ბლაგვი დაბოლოებით, ძლიერი შებუსული, ვერცხლისფერ-თეთრი. ახალგაზრდა ფოთლები მუქი მწვანე.

ყვავილები წვრილი, ორსქესიანი, იისფერი, შეკრებილი თავთავისებრ წყვეტილ ყვავილედეზში. ყვავილობს ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით. მცენარე ჯვარედინა დამამტვრიანებელი. ნაყოფი-წაგრძელებული მოყვითალო-მურა ფერის კაკალია გლუვი ზედაპირით და წვრილი მუქი-მურა ფერის თესლებით. ფესვთა სისტემა-ფუნჯა ნიადაგის სიღრმეში აღწევს 2 მ და მეტს.

ლავანდი სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარეა. მისთვის უკეთესია ღია მზიანი ადგილები. დაჩრდილვისას მცირედ იტოტვება, ყლორტები უგრძელდება და წარმოქმნიან ფაშარ ყვავილედეზს მცირე რაოდენობის ყვავილებით. ზრდისა და განვითარებისათვის და დიდი რაოდენობით ეთერზეთის წარმოსაქმნელად ესაჭიროება მაღალი ტემპერა-



ტურა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საკმაოდ ყინვაგამძლეა. კარგად იტანს გვალვებს, მაგრამ ტენის უკმარისობისას კოკრების წარმოქმნის პერიოდში უყალიბდება სუსტი ყვავილედეები. მოყვანის ოპტიმალურ პირობებში ლავადი იძლევა მოსავალს 15-20 წლის განმავლობაში. მისთვის უმჯობესია საშუალო და მძიმე თიხნარი ნიადაგები. ჰუმუსის საკმაოდ შემცველობით ქვადორღის მინარევებით.

ლავანდის სამშობლოა - სამხრეთ ევროპა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის პირეთის სხვა რეგიონები. სადაც ის გვხვდება ველურად მოზარდად ქვიანი მთების ფერდობებზე და, როგორც ჩანს, მისი კულტივირება დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, როგორც სურნელოვანი და სამკურნალო მცენარისა, მოგვიანებით მისი გაშენება დაიწყო საკმაოდ ფართო მასშტაბებით, როგორც ეთერზეთოვანი კულტურისა პარფიუმერული ნაწარმის გასაკეთილშობებლად. ცნობილია, რომ ლავანდი საფრანგეთში აქტიურად მოყავთ მე-XIV საუკუნიდან. მიტოვებული პლანტაციები ამჟამად აგრძელებენ არსებობას და ითვისებენ ახალ ფართობებს ადამიანის ჩარევის გარეშე.

ლავანდის ზეთის უმსხვილესი მწარმოებლები მსოფლიოში არიან საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, იაპონია. ყოფილ საბჭოთა კავშირში ეთერზეთოვანი მცენარეები, მათ შორის ლავანდი, უპირატესად გავრცელებული იყო ამიერკავკასიაში, ყირიმში და შუა აზიაში. (ტაჯიკეთში).

ეთერზეთოვანი კულტურების მოშენების აგროტექნოლოგიის შემუშავებაზე, ახალი ჯიშების გამოყვანაზე მუშაობდნენ: ეთერზეთოვანი კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ქ. სიმფეროპოლი) და მისი ფილიალები, ნიკიტის ბოტანიკური ბაღი (ქ. იალტა), სოხუმის (ქ. სოხუმი), მოლდავეთის (ქ. კიშინიოვი) პახტაბაადის და ეთერზეთოვანი კულტურების სხვა საცდელი სადგურები, კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მიზანმიმართული სამეცნიერო-კვლევითი და სელექციური მუშაობის შედეგად დამუშავებულ იქნა ეთერზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია, სელექციონერების მიერ გამოყვანილია და დარაიონებული იქნა ეთერზეთოვანი კულტურების ახალი პერსპექტიული ჯიშები. მათ შორის ლავანდის-B-34, რეკორდი, სტეპნაია, კრიმჩანკა, პლამე და სხვ. ლავანდის მცენარის ერთი ჰექტარი პლანტაციიდან ღებულობდნენ 27-დან 150 კგ-მდე ლავანდის ზეთს.

ლავანდი - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არომატული მცენარეა. ჯერ კიდევ ძველი რომაელები ასურნელოვნებდნენ მისი ზეთით აბაზანებს. ეთეროვან ზეთს შეიცავს მცენარის ყველა მიწისზედა ორგანო, მაგრამ ყველაზე მეტი ყვავილეებშია-2%-მდე. ეთეროვანი ზეთის გამოსახდელ ნედლეულს წარმოადგენს ლავანდის ყლორტების კენწრული ნაწილები, რომლებშიც ძირითად მასას წარმოადგენენ ყვავილედეები. მათ ჭრიან ყვავილობის დასაწყისში, კარგად გამომშვრალ ნედლეულში ყვავილები ინარჩუნებენ ბუნებრივ შეფერილობას.

ჩვენს დროში ძნელია წარმოიდგინოთ პარფიუმერული და საპნის სახარში წარმოება ლავანდის ზეთის გარეშე. ყოფაცხოვრებაში ჩრჩილისა და სხვა მწერების დასაფრთხობად



ტანსაცმლის კარადებში აწყობენ ლავანდის ტოტებს ან ათავსებენ ოდნავ თავლიად ჭურჭლის ლავანდის ზეთით, რომელიც ნელ-ნელა ორთქლდება და ავსებს კარადას თავისი სურნელით. უფრო ეფექტურია ნივთებზე ლავანდის ხმელი ყვავილების მოხვნვა.

შედარებით ნაკლებად იყენებენ ლავანდს როგორც საკმაზს. მოყვარულები კმაზავენ მისი ყვავილებით სალათებს, სხვა ცივ საუზმეს, ბოსტნეულს, სოკოვან, თევზიან სუპებს, ხორციან კერძებს. ამ მიზნით ლავანდის ხმელ ყვავილებს ფშვნიან და აბნევენ კერძში. უფრო ფართო გამოყენება ლავანდმა ჰპოვა როგორც უალკოჰოლო სასმელებისა და ძმრის არომატიზატორმა.

მეფუტკრეები აფასებენ ამ მცენარეს როგორც საუცხოო თაფლოვანას, რომელიც ამლევს თაფლს თავისებურ სასიამოვნო სურნელს.

სამკურნალო მნიშვნელობა და სამკურნალოდ გამოყენების ხერხები.

ლავანდი - ერთ-ერთი მცენარეთაგანია, რომლის გამოყენებას თავის დროზე სამკურნალოდ ურჩევდა ჰიპოკრატე.

ტრადიციულ მედიცინაში ლავანდი გამოიყენება ნერვული სისტემის დაუძლურებისას, გულის წასვლისას, თავბრუხვევისას, დამბლისას, დაქვეითებულ მხედველობისას, გონწაკლებობისას, მზგერავი იოგების დაზიანებისას, დაჟეჟილობისას, რისთვისაც ის გამოიყენება ნაყენის სახით.

ნაყენს ამზადებენ ლავანდის მოყვავილე კენწეროებისაგან, რისთვისაც ნედლეულის 3,7 გ ასხავენ 120 მლ. მდუღარეს და უნიშნავენ დასალევად ჩაის მაგივრად.

ღვინის სპირტის დამატებით მას იყენებენ გამოსავლებად. ბალახის ნაყენს ღვინოზე იყენებენ ზემოთაღნიშნული ნერვული დაავადებებისას.

ხალხურ მედიცინაში სამკურნალო მიზნებით ჩვეულებრივად იყენებენ ლავანდის ყვავილებს. მათ გააჩნიათ სუსტ დამამშვიდებელი და სპაზმოლიტური მოქმედება, ამიტომ გამოიყენება ნევრასტენიის ნერვული გულისცემის, შაკიკის, სხვა თავის ტკივილებისას, უძილობისას. როგორც წესი ნაყენს ამზადებენ მარტივი ტექნოლოგიით.

2-3 ჩ.კ დაქუცმაცებულ ყვავილებს ასხამენ 2 ჭ. მდუღარეს, აყოვნებენ 15 წუთს. ნაყენს სვავენ საკმაოდ დიდი ულუფებით-ნახევარ-ნახევარ ჭიქას დღე-ღამეში 3-4 ჯერ.

როგორც დამამშვიდებელი საშუალება ეფექტურია აბაზანები გაზავებული ლავანდის ყვავილების ნაყენით.

ლავანდის გამოყენების გონებამახვილური ხერხი გამოიგონეს იაპონიაში. იქ ამ მცენარეს იყენებენ არომათერაპიისათვის. დადგენილია, რომ ლავანდის სურნელის ჩასუნთქვა 20%-ით აქვეითებს პროგრამისტების შეცდომებს.

ლავანდის ნაყენს ამზადებენ შაკიკისას-6გ ბალახს 1ლ წყალში. შინაგანად გამოსაყენებლად იგივეს ურჩევდნენ თავის ტკივილის, გულის წასვლისას.

ლავანდის ზეთის 5-5 წვეთს შაქარზე აძლევდნენ უმადობისას, თავბრუსხვევისას, თავის ტკივილისას, საკვების უკეთ მოსანელებლად. დაქვეითებული ემოციური ფონის შემთხვევაში მკურნალები ურჩევენ ლავანდის სურნელის ჩასუნთქვას.



აღსანიშნავია, რომ ლავანდის პრეპარატები მიეკუთვნება ძლიერმოქმედთა რიცხვს, ამიტომ მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аринштейн А., Радченко Н., Петровская К., Серкова А. – Мир душистых растений - М.; "Колос", 1983;
2. ბერაია ი. – სუბტროპიკული მემცენარეობა - თბ.; „განათლება“; 1975;
3. Чикваная Е. - Эфиромасличные культуры Абхазии – Сухуми; "Алашара"; 1982;
4. კობალიანი რ, უგულავა ვ, თაბაგარი მ. - სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები - ქუთაისი; 2011;
5. კომახიძე ვ, დოლონაძე რ, ბერაია ი. - სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები - თბ.; 1964;

LAVANDER- A UNIQUE PLANT (TRANQUILISER AND REMEDY)

Roland Kopaliani

Doctor of Agricultural Sciences, Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Vladimer Ugulava

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Marieta Tabagari

Agriculture Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Shorena Kapandze

Academic Doctor of Agricultural Sciences, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

The article deals with Lavanders biomorphological and ecological features. The history of its origin and extension, some medical peculiarities. The annotation of usage is attached.

ЛАВАНДА УНИКАЛЬНОЕ РАСТЕНИЕ (УСПАКОЙТЕЛЬНОЕ И ЛЕЧЕБНОЕ)

Роланд Копалиани

Доктор сельскохозяйственных наук, Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Владимир Угулава

Доктор сельскохозяйственных наук, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Мариета Табагари

Доктор сельскохозяйственных наук, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Шорена Капанадзе

Доктор сельскохозяйственных наук, Ассистент Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

В статье рассмотрены биоморфологические и экологические особенности лаванды, происхождение и история, хозяйственное использование и лечебные свойства, приведены рецепты применения.